"ტორპედო" (მოსკოვი)– "დინამო" (თბილისი)

21 მაისს მოსკოვში თბილისის "დინამომ" სსრ კავშირის პირველობის მეოთხე კალენდარული შეხვედრა ჩაატარა "ტორპედოს" გუნდთან. მატჩის პირველი 20 წუთის განმავლობაში უპირატესობა თბილისელების მხარეზე იყო, თბილისელებს სამჯერ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის სრული შესაძლებლობა, მაგრამ მათ ეს ვერ გამოიყენეს. შემდეგ მოსკოველები კონტრიერიშზე გადავიდნენ და 24–ე და 26–ე წუთზე ზედიზედ გაიტანეს ბურთი თბილისელთა კარში. ტაიმის ბოლო წუთები, ისევე როგორც თამაშის მთელი მეორე ნახევარი, თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ამ უპირატესობის რეალიზაცია. ტორპედოელებმა მეორე ტაიმში კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:0. ეს თბილისის "დინამოს" პირველი დამარცხებაა მიმდინარე წელს.

* * *

თბილისის "დინამო" მეხუთე კალენდარულ შეხვედრას სსრ კავშირის პირველობაზე ჩაატარებს 25 მაისს მოსკოვში, ადგილობრივი "სპარტაკის" გუნდთან.

ლელო 23. 05. 1947 წელი